

სიუჟეტური ერთიანობის პრობლემა უილიამ ფოლკნერის რომანში
ველური პალმები

ქეთევან გახოკია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან გახოკია

26.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი უილიამ ფოლკნერის რომანის *ველური პალმების* სიუჟეტური ერთიანობის პრობლემის კვლევისა და მისი ინტერპრეტაციის მცდელობას წარმოადგენს. რომანი სიუჟეტურად დაუკავშირებელი და სტრუქტურულად გამიჯნული ორი ვრცელი მოთხრობისგან: საკუთრივ *ველური პალმებისა (The Wild Palms)* და *ბერიკაცისგან (The Old Man)* შედგება. რომანის ორი სიუჟეტური ხაზი დროით, მოქმედებით, სივრცითა და პერსონაჟებით ერთმანეთს არ უკავშირდება და ამდენად, სიუჟეტური წრე, ტექნიკურ დონეზე, არ იკვრება. ახალი კრიტიკის მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე, რომელიც ყურადღებას ტექსტის მთლიანობასა და მის სიმწყობრეზე ამახვილებს, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ამგვარად აგებული რომანი, ტექნიკური თვალსაზრისით, ერთგვარი მარცხია, რომლის ფიქციურ ერთიანობას მხოლოდ ურთიერთშემავსებელი თემები განაპირობებს.

კვლევა იზიარებს ახალი კრიტიკის აღნიშნულ მიდგომას და ტექნიკურად შეუკრავი რომანის განმაპირობებელი მიზეზების ახსნას ისახავს მიზნად. ის ნაწარმოების ორი სიუჟეტური ხაზის სტრუქტურულ - შინაარსობრივი ანალიზისა და არისტოტელეს დრამის თეორიის საფუძველზე ხსნის, რომ რომანი არა მწერლის ტექნიკური მარცხი, არამედ მოდერნული რომანის ფორმალურ - სტრუქტურული ექსპერიმენტია, რომელშიც სიუჟეტები ანტიკური ტრაგედიის თეზა - ანტითეზის პრინციპის საფუძველზე უკავშირდება და ავსებს ერთანეთს, რაც ამბის დიალექტიკურ და ტოტალურ აღქმას განაპირობებს. თითოეული სიუჟეტური ხაზის მნიშვნელობა კი მხოლოდ მეორესთან ურთიერთმიმართებითა და შეპირისპირებით დგინდება.

კვლევა არისტოტელეს დრამის თეორიის - *პოეტიკის* - საფუძველზე განიხილავს რომანის სიუჟეტს, მის აგებულებას, ურთიერთმიმართებას,

მოქმედების განვითარების მითოსურ ლოგიკას და წარმოდგენილ ჰიპოთეზას ამტკიცებს.

საკვანძო სიტყვები: ველური პალმები, ბერიკაცი, სიუჟეტური ხაზი, დიალექტიკა, ანტიკური ტრაგედია, კონტრაპუნქტი, ბრძოლის მოტივი, სწრაფვა, თეზა, ანტითეზა.

Abstract

The following paper researches the unity of William Faulkner's novel "The Wild Palms" which unites two entirely different stories in alternating sections: The Wild Palms itself and The Old Man. The alternating chapters of two long stories seems completely unrelated by places, characters and settings. Accordingly, from New Critic's point of view the work cannot be perceived as a whole or organic unity. The book may technically be considered as a failure based on the argument that only the complementary themes which connect the two parts of the book are not strong enough for any sort of fictional unity.

The paper simultaneously shares and opposes New Critic's prevailing attitude and based on structural and thematic analysis it aims to identify the inner structure of the novel which responds to the research question: what makes two storylines of the novel be superficially unconnected?

The hypothesis of the paper identifies two storylines of the book as contrasting sequences which illuminates each other and serves a same function as thesis and antithesis in ancient Greek drama. By employing Poetics, Aristotle's famous study of Greek dramatic art, the paper proves that two superficially unconnected storylines are circled based on ancient dramatic structure.

Key words: The Wild Palms, The Old Man, storyline, dialectics, counterpoint, struggle, aspiration, thesis, antithesis.